

<p><b>მიზნები</b></p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია პრიორიტეტების დოკუმენტის რაობისა და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაში მისი მნიშვნელობის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პრინციპების, ეტაპების და დაგეგმვის დოკუმენტების არსის, პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, შეთანხმების, კორექტირებისა და მიღების წესების, პირობების, მეთოდებისა და პროცედურების დეტალური გაცნობით, მუნიციპალიტეტის მოხელეთა კვალიფიკაციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლების ხელშეწყობა</p>
<p><b>შესასწავლი ძირითადი თემები</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები. პრიორიტეტების დოკუმენტის არსი</li> <li>2. ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი პრინციპები და ეტაპები, დაგეგმვის პროცესი</li> <li>3. პრიორიტეტების დოკუმენტი და დაგეგმვის სხვა დოკუმენტები</li> <li>4. პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპი</li> <li>5. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სელექცია და სისტემატიზაცია, სტატისტიკური ინფორმაციის ბლოკებად წარმოდგენა.</li> <li>6. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზის მეთოდები</li> <li>7. მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასება; დასახლებათა საერთო კრებებზე განხილვების შედეგად განსაზღვრული დასახლებების პრიორიტეტების შედარებითი ანალიზი; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების SWOT-ანალიზი.</li> <li>8. პრიორიტეტების შუალედური დოკუმენტის შინაარსი. მოხსენება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. პრიორიტეტების შერჩევა</li> <li>9. პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ვერსია</li> <li>10. პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების, კორექტირების და მიღების პირობები და წესები</li> </ol>

**მსმენელმა იცის:**

- მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები. პრიორიტეტების დოკუმენტის არსი და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაში მისი მნიშვნელობა.
- ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი პრინციპები და ეტაპები. დაგეგმვის პროცესის თანმიმდევრობა : განვითარების პოლიტიკის, პროგრამული და საბიუჯეტო დაგეგმარება.
- პრიორიტეტების დოკუმენტისა და დაგეგმვის სხვა დოკუმენტების: მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების, საინვესტიციო პროექტების შინაარსი. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმარების კავშირი პოლიტიკისა და პროგრამულ დაგეგმარებასთან.
- პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის შექმნის პირობები და წესი. პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების კალენდარული გეგმა-გრაფიკი.
- სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, სელექციისა და სისტემატიზაციის, სტატისტიკური ინფორმაციის ბლოკებად წარმოდგენის ძირითადი წესები და მეთოდები.
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანალიზის მეთოდები
- მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასების მეთოდები; დასახლებათა საერთო კრებებზე განხილვების შედეგად განსაზღვრული დასახლებების პრიორიტეტების შედარებითი ანალიზი; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების SWOT-ანალიზი
- პრიორიტეტების შუალედური დოკუმენტის შინაარსი. პრიორიტეტების შერჩევის მეთოდოლოგია (ჩატარებული ანალიზის შედეგად)
- პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შინაარსი. პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ვერსიის გამოქვეყნებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის დაგზავნის წესები.
- პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების, კორექტირების და მიღების პირობები და წესები. პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანის წესი. პრიორიტეტების დოკუმენტის შესრულების შესახებ

	<p>ანგარიშგების პირობები, წესები და პროცედურები</p> <p><b>მსმენელს შეუძლია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკური დაგეგმვის პროცესის სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება</li> <li>• ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი პრინციპებისა და ეტაპების იდენტიფიცირება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება</li> <li>• პრიორიტეტების დოკუმენტს, მუნიციპალურ პროგრამას (საინვესტიციო პროექტს) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს შორის კავშირის დადგენა</li> <li>• პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფისა და მისი წევრების ფუნქციებისა და როლების იდენტიფიცირება</li> <li>• სტატისტიკური ინფორმაციის ბლოკებად წარმოდგენა</li> <li>• მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი</li> <li>• მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასების მეთოდების გამოყენება; დასახლებების პრიორიტეტების შედარებითი ანალიზი, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების SWOT-ანალიზის ჩატარება</li> <li>• პრიორიტეტების შუალედური დოკუმენტის შინაარსის იდენტიფიცირება, პრიორიტეტების შერჩევა, პროგრამების განხორციელების საორიენტაციო ვადებისა და ღირებულებების განსაზღვრა</li> <li>• პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შინაარსის შეფასება</li> <li>• პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების, კორექტირების და მიღების პირობებისა და წესების, პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანის წესის, პრიორიტეტების დოკუმენტის შესრულების შესახებ ანგარიშგების პირობები, წესებისა და პროცედურების იდენტიფიცირება და საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენება</li> </ul>
<p><b>მოცულობა</b></p>	<p>კრედიტი: 0.7                      საკონტაქტო საათი: 14</p>
<p><b>მწვრთნელი/მწვრთნელები</b></p>	<p>1. დავით ზარდიაშვილი 2. ნინო რომაშვილი</p>
<p><b>სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია</b></p>	<p>ნინო რომაშვილი ელ.ფოსტა: <a href="mailto:nromashvili@tcj.gov.ge">nromashvili@tcj.gov.ge</a> ტელ: (995 32) 2 94 22 28 , 2 38 22 59; 599 58 88 01</p>